ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4857128

ნომერი: AR1728117

თარიღი : 10.01.2020

გაცემის თარიღი : 14.02.2020

გაცნობის თარიღი : 14.02.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , # 23 , (ნაკვ.04/005);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ალავერდაშვილი პ/ნ 01013017373
- თბილისი ვ.ბოჭორიშვილის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1728117 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი ალავერდაშვილმა და მოითხოვა, ქალაქი თბილისში, ქუჩა ქიზიყი , # 23 , (ნაკვ.04/005) შენობის ნაწილების ლეგალიზება, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ვინაიდან ზემოხსენებულ №AR1728117 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2020 წლის 15 იანვრის №4821805 ბრძანებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების 10 (ათი) დღის ვადაში წარმოდგენა, რაც არ განხორციელდა.

ასევე, მოთხოვნის ტექსტში არ იქნა დაკონკრეტებული კონკრეტულად როდის დასრულდა სალეგალიზებოდ მოთხოვნილი ნაწილების მშენებლობა. წარმოდგენილი იქნა შავთეთრი აეროფოტოგადაღება, სადაც სალეგალიზებოდ მოთხოვნილი ნაწილები არ ფიქსირდება და შესაბამისად არ დასტურდება მშენებლობის 2007 წლამდე დასრულების გარემოება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, №AR1728117 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე გიორგი ალავერდაშვილის განცხადება;

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.